**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის**

**„სამოქალაქო ბიუჯეტის“ 2026 წლის ფორმირების წესი**

დამტკიცებულია წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

სათათბირო ორგანოს

„სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს“ მიერ

06 თებერვალი, 2026 წელი

სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს თავმჯდომარე - გრიგოლ ყურაშვილი

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის**

**„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფორმირების წესი**

სამოქალაქო ბიუჯეტი დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია - საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის განვითარების მიმართულებების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი – არის პროცესი, რომელიც საზოგადოებას საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში. მოქალაქეთა ბიუჯეტის მეშვეობით მოქალაქეებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ თუ რაში დაიხარჯება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განაწილებისა და ხარჯვის პროცესში მოქალაქეების ინტერესის გათვალისწინება სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე დემოკრატიული მმართველობისა და მოქალაქეთა ჩართულობისათვის. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მხრიდან ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი გარკვეული თანხები ადგილობრივი მოსახლეობის ინიციატივების შესაბამისად, საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტის მკვიდრთ განახორციელონ მათთვის მნიშვნელოვანი პროექტები (ინფრასტრუქტურული, ახალგაზრდული, საგანმანათლებლო ან კულტურული, სოციალური, სპორტული და სხვ.), ანუ თავად დაგეგმონ ბიუჯეტი.

## 1. **საორგანიზაციო საკითხები**

**გამოყოფილი თანხა სამოქალაქო ბიუჯეტისთვის, მუნიციპალიტეტის დაყოფა და ფინანსური სახსრების განაწილება, ვინ არის პროცესში ჩართული (პროცესის კოორდინაციის სტრუქტურა)**

1.1.პროცესის განხორციელებისთვის ქალაქი წყალტუბო იყოფა 3 ზონად:

*I. ლ. ავალიანის ქუჩა, მ. გურიელის ქუჩა, ს. ზაალიშვილის ქუჩა, იმერეთის ქუჩა, ე. ნინოშვილის ქუჩა, ალ. ყაზბეგის ქუჩა, აკ. წერეთლის ქუჩა, დ. ჭონქაძის ქუჩა, ხელოვნების ქუჩა, ხვამლის ქუჩა, მ. ჯავახიშვილის ქუჩა, მ. სამაკაშვილის ქუჩა (ყოფილი ხონის ქუჩა (ყოფილი სუვოროვი)), შ. რუსთაველის ქუჩა, ნ. ბარათაშვილის ქუჩა (ყოფილი კიროვის), ვ. გორგასალის ქუჩა (ყოფილი ლესელიძე), ვაჟა-ფშაველას ქუჩა, უშბის ქუჩა, ო. იოსელიანის ქუჩა (ყოფილი ვაჟა-ფშაველას 2 შესახვევი), კავკასიონის ქუჩა, ს. კედიას ქუჩა, ნ. ლორთქიფანიძის ქუჩა, 26 მაისის ქუჩა, ჟ. შარტავას ქუჩა, ტ. შევჩენკოს ქუჩა, დედა-ენის ქუჩა, თბილისის ქუჩა.*

*II. ვ. ბარნოვის ქუჩა, შ. დადიანის ქუჩა, ექ. თაყაიშვილის ქუჩა (ყოფილი ბუხაიძე), დ. კლდიაშვილის ქუჩა, სულხან-საბას ქუჩა (ყოფილი წითლანაძე), ტ. ტაბიძის ქუჩა, ჩახრუხაძის ქუჩა (ყოფილი წულუკიძის), ქ. ჩოლოყაშვილის ქუჩა (ყოფილი კიკვიძის), წითლანაძის ქუჩა (ყოფილი დედა-ენის VI შესახვევი), პ. ჭაბუკიანის ქუჩა (ყოფილი მაიაკოვსკის), ილია ჭავჭავაძის ქუჩა, ბესიკის ქუჩა, გელათის ქუჩა (ყოფილი რუსთაველის), რ. ერისთავის ქუჩა, მირიან მეფის ქუჩა (ყოფილი ენგელსის), ფარნავაზ მეფის ქუჩა, დ. გურამიშვილის ქუჩა, კოლხეთის ქუჩა (ყოფილი ფრუნზე), გ. ტაბიძის ქუჩა.*

*III. თამარ მეფის ქუჩა (ყოფილი პუშკინის), აფხაზეთის ქუჩა, დავით აღმაშენებლის ქუჩა (ყოფილი მე-2 რგოლური ქუჩა), 9 აპრილის ქუჩა, ვ. სარაჯიშვილის ქუჩა, მ. ლერმონტოვის ქუჩა, ა. შანიძის ქუჩა (ყოფილი გოგოლის), ახალგაზრდობის ქუჩა, კ. გამსახურდიას ქუჩა (ყოფილი მიჩურინი), ი. გოგებაშვილის ქუჩა, მ. კოსტავას ქუჩა (ყოფილი ჯაფარიძის), კ. მარჯანიშვილის ქუჩა, შ. ნუცუბიძის ქუჩა, ფალიაშვილის ქუჩა, ქუთაისის ქუჩა, ბაგრატ III-ის ქუჩა, ბაგრატის ქუჩა, მ. ბალანჩივაძის ქუჩა, გვანცელაძის ქუჩა, ნ. დუმბაძის ქუჩა (ყოფილი კამოს), ი. ევდოშვილის ქუჩა, ნ. კეცხოველის ქუჩა, ნ. ნიკოლაძის ქუჩა, რუსთავის ქუჩა, სოლომონ I-ის ქუჩა, გრ. ტყაბლაძის ქუჩა, მ. ტყაბლაძის ქუჩა, გრ. ხანძთელის ქუჩა (ყოფილი მახარაძე), მესხის ქუჩა (ყოფილი გორკის).*

**1.2.პროექტისთვის „სამოქალაქო ბიუჯეტი" გამოყოფილი საერთო თანხა შეადგენს 150000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარს.**

1.3.აღნიშნული თანხის ფარგლებში შესაძლებელია როგორც ერთი დიდი პროექტის, ასევე რამდენიმე პატარა პროექტის დაფინანსება.

1.4.მუნიციპალიტეტში დაინიშნება კოორდინატორი და შეიქმნება სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო.

1.4.1.სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოში შედიან მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მერიის, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ასევე მოქალაქეები. მისი ფორმირება განსაზღვრულია მერის ბრძანებაში.

1.4.2.საბჭოს ამოცანებია:

- საინფორმაციო კამპანიის დაგეგმვა;
- მოსახლეობის ინფორმირება;
- პროექტების ვერიფიკაცია;
- სამოქალაქო ბიუჯეტის პროცესის მონიტორინგი.

კოორდინაციის უზრუნველყოფის და მოსახლეობის ინფორმირებულობის მიზნით გამოიყოფა ლოკალური კოორდინატორი, რომელიც მერის წარმომადგენელთან ერთად, განახორციელებს საქმიანობას ამ პროგრამის ფარგლებში, სახელდობრ:

- მოსახლეობის ინფორმირება თითოეულ ეტაპზე;
- საპროექტო ინიციატივის დაწერაში დახმარება;
- ტექნიკური დახმარების გაწევა საპროექტო ინიციატივების გადარჩევის პროცედურის ჩატარებაში.

1.4.3.კოორდინატორს ირჩევს სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- აქტიურად მონაწილეობს ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში;
- კოორდინატორი უნდა იყოს უშუალოდ ქალაქ წყალტუბოში მცხოვრები;
- კოორდინატორი უნდა იყოს სრულწლოვანი.

**2. ფორმალური შეკითხვები - ვის შეუძლია მონაწილეობის მიღება, როგორი პროექტების შეტანა არის შესაძლებელი?**

**2.1.**პროექტში „სამოქალაქო ბიუჯეტი" მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან, რომელიც რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

**2.2.**მოქალაქეებს შეუძლიათ წარადგინონ საპროექტო ინიციატივები, რომელთა განხორციელება:

- შედის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კომპეტენციაში;
- ემსახურება მოსახლეობის კეთილდღეობას;
- წარმოდგენილია სპეციალურ ფორმაში წერილობით ფორმით ან ელექტრონულად, განსაზღვრული ვადების დაცვით.

**3.სამოქალაქო ბიუჯეტის რეალიზაცია მოიცავს შემდეგ ნაბიჯებს:**

1)საინფორმაციო კამპანია - ხორციელდება მთელი პროცესის განმავლობაში.

2)ლოკალური კოორდინატორის დანიშვნა - **მიმდინარე წლის 09 თებერვლის ჩათვლით პერიოდში.**

3)საპროექტო ინიციატივების შემუშავება და წარდგენა - **მიმდინარე წლის 10 თებერვლიდან - 04 მარტის ჩათვლით პერიოდი.**

4)წარდგენილი საპროექტო ინიციატივების ვერიფიკაცია მუნიციპალიტეტის მიერ - **მიმდინარე წლის 06 მარტის ჩათვლით პერიოდში.**

5)შემოწმებული საპროექტო ინიციატივების ჩამონათვალის გამოქვეყნება - **მიმდინარე წლის 09 მარტის ჩათვლით პერიოდში.**

6)სიის მომზადება მოსახლეობის მხრიდან არჩევისთვის - **მიმდინარე წლის 09 მარტის ჩათვლით პერიოდში (არჩევნების საჭიროების შემთხვევაში).**

7)კენჭისყრამდე მოსახლეობის ინფორმირება და საპროექტო ინიციატივების განხილვა - **მიმდინარე წლის 13 მარტის ჩათვლით პერიოდში (არჩევნების საჭიროების შემთხვევაში).**

8)მოსახლეობის მიერ საპროექტო ინიციატივების არჩევა - **მიმდინარე წლის 20 მარტის ჩათვლით პერიოდში (არჩევნების საჭიროების შემთხვევაში).**

9)განსახორციელებელი საპროექტო ინიციატივების სიის გამოქვეყნება - **მიმდინარე წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდში არჩევნების ჩატარების შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიის გამოქვეყნება მოხდება ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში.**

10)საპროექტო ინიციატივების სიის გადაცემა ბიუჯეტში შესატანად - არჩევნების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში: მიმდინარე წლის **24 მარტის ჩათვლით პერიოდში,** არჩევნების პროცედურების გარეშე: მიმდინარე წლის **09 მარტის ჩათვლით პერიოდში.**

11)მონიტორინგი და შეფასება - სამოქალაქო ბიუჯეტის მთელი პროცესის მიმდინარეობის პერიოდში.

## *4.* შემდგომი ეტაპების წესების აღწერა

### 4.1 საინფორმაციო კამპანია

**აღწერა ვინ იქნება პასუხისმგებელი, ვინ იქნება ჩართული, სად იქნება საინფორმაციო კამპანია**

- საინფორმაციო კამპანიას ატარებს კოორდინატორი მთელი პროცესის განმავლობაში და მის ყველა ეტაპზე;
- საინფორმაციო კამპანიის პროცესში შეიძლება ჩაერთონ არასამთავრობო ორგანიზაციები და დაინტერესებული მოქალაქეები, ასევე სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო;
- საინფორმაციო კამპანიის მიმდინარეობის დროს კოორდინატორმა უნდა ჩაატაროს ზონის მოსახლეობასთან მინიმუმ ერთი შეხვედრა;
- რესურსები (ადამიანური, ფინანსური, ტექნიკური რესურსი) საინფორმაციო კამპანიისთვის გამოიყოფა ადგილობრივი ბიუჯეტიდან;
- საინფორმაციო კამპანია მოიცავს მოქალაქეების ინფორმირების ყველა ხელმისაწვდომ შესაძლებლობას.

### 4.2.პროექტების შემუშავება და წარდგენა:

4.2.1.ეტაპი შედგება შემდეგი ნაბიჯებისგან:

- თითოეულ ზონაში მინიმუმ 1-ჯერ იმართება მოსახლეობასთან ღია საკონსულტაციო შეხვედრა. შეხვედრების დროს, კოორდინატორი სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად, ასწავლის მოსახლეობას და ეხმარება მათ საპროექტო ინიციატივის ფორმის შევსებაში;
- ამ შეხვედრების შესახებ ინფორმაცია გავრცელდება კოორდინატორის მეშვეობით და სხვადასხვა საინფორმაციო არხებით;
- კონსულტაციებისთვის მოსახლეობას შეუძლია მიმართოს კოორდინატორს ტელეფონით.

4.2.2.საპროექტო ინიციატივის წარდგენა შეუძლია მოქალაქეს 14 წლის ასაკიდან, თუ ის დარეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

4.2.3.საპროექტო ინიციატივა უნდა იყოს შედგენილი წერილობითი ფორმით ან ელექტრონულად, ხელმოწერილი უნდა იყოს ავტორის და მინიმუმ 10 მხარდამჭერის მიერ სპეციალურ სააპლიკაციო ფორმაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება კოორდინატორთან და ქალაქის ოფიციალურ საიტზე ჩანართში **„სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამა".**

4.2.4.საპროექტო ინიციატივა უნდა მოიცავდეს: პროექტის არსს, მიზანს და პრობლემის აღწერას, სავარაუდო ფინანსურ ხარჯებს, საზოგადოებრივ აუცილებლობას, ბენეფიციართა სავარაუდო რაოდენობას და ტიპს, (რეალიზაციის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 წელს).

4.2.5.მოქალაქე შევსებულ ფორმას, ელექტრონული სახით აგზავნის მუნიციპალიტეტის მერიაში ელექტრონული ფოსტის მისამართზე tskaltubo1@gmail.com ან წერილობითი ფორმით არეგისტრირებს მუნიციპალიტეტის კანცელარიაში მისამართზე: ქალაქი წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა N25.

4.2.6.წარდგენილი განაცხადების აღრიცხვას ახდენს კოორდინატორი. სია გამოქვეყნებული იქნება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე და სხვა ხელმისაწვდომ საინფორმაციო არხებზე.

**4.3.წარდგენილი საპროექტო ინიციატივების შემოწმება მუნიციპალიტეტის მიერ**

ყველა წარდგენილი განაცხადი გადაეცემა „სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს", რომელიც ორგანიზებას უწევს წარდგენილი საპროექტო ინიციატივების ვერიფიკაციას და ასევე ამოწმებს პროექტებს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- სამართლებრივი ასპექტები (უფლებამისილი არის თუ არა მუნიციპალიტეტი განახორციელოს წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივა);
- ტექნიკური ასპექტები (რამდენად არის პროექტის განხორციელება შესაძლებელი);
- ფინანსური ასპექტები (წარდგენილი საპროექტო ინიციატივების სავარაუდო ღირებულების შეფასება);
- პროექტის რეალიზაციის ვადები.

თუ საპროექტო ინიციატივა არ აკმაყოფილებს მოცემულ კრიტერიუმებს, პასუხისმგებელი ოფიციალური პირი უფლებამოსილია გამოავლინოს ხარვეზები და ავტორს სთხოვოს გამოასწოროს

ისინი კოორდინატორის დახმარებით. შესწორების შეტანის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 1 კალენდარულ დღეს. თუ ხარვეზები არ გასწორდება, საპროექტო ინიციატივა უარყოფილი იქნება სათანადო დასაბუთებით.

ყველა შემოწმებული განაცხადი გადაეცემა სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს სხდომაზე საბოლოო შემოწმებისთვის და სიის შესადგენად არჩევისთვის. საპროექტო ინიციატივების სია არჩევისთვის (არჩევნების საჭიროების შემთხვევაში) უნდა მოიცავდეს სრულ ინფორმაციას, სახელდობრ: საპროექტო ინიციატივის სახელს, მოკლე აღწერას, ბიუჯეტს, ავტორ(ებ)ს, ადგილმდებარეობას, რომელი პრობლემის გადაჭრისკენ არის მიმართული და რეალიზაციის სავარაუდო ვადებს.

ვერიფიკაციის შედეგები საპროექტო ინიციატივის სხვა ეტაპზე გადასვლასთან დაკავშირებით საკანონმდებლო, ტექნიკური და ფინანსური ასპექტების გათვალისწინებით, ან უარყოფა, გამოქვეყნებული იქნება მერიის ოფიციალურ საიტზე და ასევე სხვა შესაძლო საინფორმაციო არხებზე არაუგვიანეს მეორე დღისა. ინფორმაცია ასევე გაეგზავნება პროექტების ავტორებს.

**ვერიფიკაციის ეტაპის შედეგები გამოქვეყნდება ოფიციალურ საიტზე 2026 წლის 09 მარტის ჩათვლით პერიოდში.**

**4.4.მოსახლეობის მიერ პროექტების არჩევა (არჩევნების საჭიროების შემთხვევაში)**

ყველა საპროექტო ინიციატივა, რომელმაც გაიარა ვერიფიკაცია, ექვემდებარება მოსახლეობის მიერ არჩევას, თუ საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება აღემატება სამივე ზონისთვის გამოყოფილ თანხას, პროექტები გადადიან კენჭისყრის ეტაპზე, სადაც მოსახლეობა ხმას აძლევს სასურველ ინიციატივას, როგორც ელექტრონულად, ასევე ბიულეტენების მეშვეობით.

არჩევამდე მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ინფორმირებას და ამზადებს მასალებს საპროექტო ინიციატივების გასაცნობად. ავტორებს თავადაც შეუძლიათ საკუთარი პროექტების რეკლამირება.

ხმის მიცემაში მონაწილეობის უფლება აქვს იმ მოქალაქეს, რომელიც იურიდიულად რეგისტრირებულია ან/და ფაქტობრივად ცხოვრობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი ხმა იკარგება.

ელექტრონული ფორმით ხმის მიცემის შემთხვევაში, ამომრჩევლებს ერთი ელ-ფოსტიდან მხოლოდ ერთი ხმის მიცემის უფლება აქვთ.

მოქალაქე ყველა საპროექტო ინიციატივის გაცნობის შემდეგ, ხმას აძლევს მხოლოდ ერთ პროექტს.

- ავტორი არ შეიძლება იყოს საარჩევნო კომისიის წევრი;
- საპროექტო ინიციატივის ავტორებს შეუძლიათ დაესწრონ ხმის მიცემის პროცესს და მეტი გამჭვირვალობისთვის, შეასრულონ დამკვირვებლის როლი.

**შერჩეული საპროექტო ინიციატივები გამოვლინდება 2026 წლის 20 მარტის ჩათვლით პერიოდში და საბოლოო შედეგები გამოცხადდება 2026 წლის 23 მარტის ჩათვლით პერიოდში არჩევნების ჩატარების**

**შემთხვევაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიის გამოქვეყნება მოხდება მესამე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში. ყველა შერჩეული პროექტი აისახება 2026 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.**

**5. პროექტების განხორციელება, შეფასება და მონიტორინგი**

პროექტების შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებენ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო, ასევე საზოგადოებრივ მონიტორინგს ახორციელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის აქტიური მოქალაქეები.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო, სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭო და უფლებამოსილი სამუშაო ორგანო თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ სამოქალაქო ბიუჯეტის ეფექტურობის შეფასებას. ეფექტური გამოყენების შეფასება ხორციელდება შედეგობრივი მაჩვენებლების საფუძველზე, და ასევე, სხვა ინფორმაციაზე დაყრდნობით, რომელსაც მოიცავს ბიუჯეტის მოთხოვნები, ხარჯთაღრიცხვის შეფასებები და ხარჯთაღრიცხვის შესრულების ანგარიშები.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საპროექტო ინიციატივებზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით ღია კენჭისყრის პროცედურა**

**მოსახლეობის მიერ პროექტების შერჩევა ხორციელდება კენჭისყრის საფუძველზე.**

საპროექტო ინიციატივაზე ხმის მიცემის პროცედურა განხორციელდება ღია კენჭისყრის საფუძველზე **2026 წლის 20 მარტამდე,** ქალაქ წყალტუბოში (თუ სამივე ზონის მიერ წარმოდგენილი საპროექტო ინიციატივების ჯამური ღირებულება აღემატება 150000 ლარს), სპეციალურად გამოყოფილ დანიშნულების პუნქტში, რომელიც განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მიერ სამოქალაქო ბიუჯეტის კოორდინატორთან წინასწარი შეთანხმების შემდეგ. კენჭისყრის პრინციპი შემდეგში მდგომარეობს - თითო პროექტს, თითო ხმა.

ქალაქის ტერიტორიაზე გაიხსნება ერთი ადგილი მაინც, სადაც მოსახლეობა შეძლებს აირჩიოს პროექტი. კენჭისყრის ადგილ(ებ)ი უნდა განთავსდეს ღია ცის ქვეშ ან შენობებში და ხმის მიცემის საშუალება უნდა მიეცეთ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს. კენჭისყრის ჩატარების ადგილი ცნობილი უნდა იყოს კოორდინატორისთვის და უნდა იყოს გავრცელებული კენჭისყრამდე 2 (ორი) დღით ადრე.

საპროექტო ინიციატივაზე ხმის მიცემის პროცედურა განხორციელდება საარჩევნო ბიულეტენის ან/და ონლაინ-კენჭისყრისთვის სპეციალურად შექმნილი ელექტრონული ბიულეტენის ფორმის მეშვეობით. კენჭისყრის პროცესს წარმართავენ წარმომადგენლობითი საბჭოები, რომლებიც დაკომპლექტდება

საპროექტო ინიციატივის ავტორებთან შეთანხმებით. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრს უფლება არ აქვს იყოს პროექტის ინიციატორი, ხოლო თვით ინიციატორები დააკვირდებიან პროცესს დამკვირვებლების სტატუსით.

ხმის მიცემის უფლება აქვს მხოლოდ წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეს (გადამოწმება მოხდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდიდან).

ხმის მიცემის საბოლოო შედეგები შედგება ელექტრონული და ქაღალდის ბიულეტენების მეშვეობით ჩატარებული კენჭისყრის შედეგებისგან რეიტინგული სიის სახით. გამარჯვებული საპროექტო ინიციატივები გამოვლინდება ხმათა მაქსიმალური რაოდენობით.

ყველა მოქალაქეს, რომელმაც მიაღწია 14 წლის ასაკს, უფლება აქვს ერთი ხმა მისცეს საპროექტო ინიციატივას. არჩევნებზე მოსულ ყველა მოქალაქეს თან უნდა ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან დაბადების მოწმობა.

კონკრეტული პროექტისთვის ხმის მიცემამდე მოქალაქე უნდა გაეცნოს შემოთავაზებული პროექტების მთელ სიას კოორდინატორის მიერ წინასწარ მომზადებულ საინფორმაციო დოკუმენტში. პროექტების საინფორმაციო დოკუმენტი უნდა მოიცავდეს თითოეული პროექტის შესახებ შემდეგ ინფორმაციას: პროექტის სათაური, მოკლე აღწერა, ბიუჯეტი, ავტორი/ავტორები, პროექტის ლოკალიზაცია, რა პრობლემის გადაჭრაზე არის მიმართული, განხორციელების ვადა, ფოტო. გაცნობის შემდეგ მოქალაქე ირჩევს პროექტს საარჩევნო ბიულეტენის ქაღალდის ფორმის გამოყენებით საარჩევნო უბნებში ან ბიულეტენის ელექტრონული ფორმით ინტერნეტში. მოქალაქის მიერ ორივე ფორმის გამოყენების შემთხვევაში, ორივე ხმა გაბათილდება.

მოქალაქის მიერ მეორედ ხმის მიცემის მცდელობისას მოქალაქე დაკარგავს ყველა ხმას.

ზემოთ აღნიშნული პროცედურების განხორციელებას (ხმის მიცემისათვის განკუთვნილ პუნქტში მოქალაქეთა რეგისტრაციას, მათი ხმების დათვლას, გამარჯვებული პროექტის გამოვლენას, პროექტების სიის შექმნას განსახორციელებლად) უზრუნველყოფს წარმომადგენლობითი საბჭოები. წარმომადგენლობითი საბჭოს მუშაობის ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი იქნება ოქმების სახით ყველა მონაწილის ხელმოწერებით. ხმების დათვლის შედეგები და გამარჯვებული პროექტები გამოქვეყნებული იქნება მუნიციპალიტეტის ოფიციალურ საიტზე.